



იმისთანა წმინდა საძმეში, ბედობილ ბეჭდ-
უძი სიფყავს, ფყილებით და ჭბრებით ბჭ-
თის გაცანა ყულა უკანდისბბაჭე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 27-28 ივლისი, 2022 წ. №103-104 (9441-9442) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



ლადო ლაშვილი:


„ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომაა ის, რომ 2013 წელს „ნაცმოქრობის“ გმარტველობის თუნდაც პოლიტიკურ შეფასებაზე თქვა უარი!



– პოზიცია, რომ საქართველო არ იქნეს ჩათრეული ომში, აბ-
სოლუტურად სწორია. უბრალოდ, არტიკულაცია შეიძლება ყო-
ფილყო ცოტა უფრო დიპლომატიური. ამ მიხედვით გავეხსენო ერთი
კალიან ცული გამოსვლიდან, რომელიც გვიან გამსახურდის
პრეზიდენტობის პერიოდს ეხება. კერძოდ, ის საკმაოდ კრიტიკუ-
ლი იყო არა მარტო მოსკოვის, არამედ ვაშინგტონის მისამარ-
თითაც. ჩვენ ვიხსენებ, საფუძვარულ, როგორც დასრულდა ის პერი-
ოდი. არ მიხდება ვითარება გავეხსენებო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება,
რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ია, ის ჩვენი სახელმწი-
ფოვარდში დამოუკიდებლობის რეალური გარანტორია. ამიტომ ვი-
სურვებდი, რომ დასავლეთთან საკომუნიკაციო ენა უფრო დიპლო-
მატიური იყო. შესაძლებელია, ელჩთან პირისპირ საუბარში კა-
ლიან გაყოფილ გამოცდილებით შენი უკეთესობა, მაგრამ არა დია-
ვიმარტვევაში, რომელიც სულ სხვა შეფერილობას იღებს არა მარტო
საგოგალოებაში, არამედ საერთაშორისო არენაზე.



SOS! ატომური ნარკვევის წინ!



მხატვარი რეზო ალაშია

SOS!
იაზროვნე, ალაშიანო!
პუტინის რუსეთმა ადამიანთა გა-
მანადგურებელი ომი თუ არ შეწყვიტა
უკრაინაში, აი ამ სურათზე ჩვენი ცნო-
ბილი მხატვრის რეზო ალაშიას მიერ
წარმოჩენილი ატომური წარღვნა და-
ატყდება თავს კაცობრიობას!

პრემიერი ყაზახეთში
საქართველო პრემიერ-მინისტრი ირაკ-
ლი ლარიბაშვილი გუშინ დელეგაციასთან ერ-
თად ყაზახეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა.
იტყობინება მთავრობის ადმინისტრაცია, –
ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაური
ორმხრივ მაღალი დონის შეხვედრებს გამარ-
თავს. ირაკლი ლარიბაშვილი ვიზიტით ასევე
იმყოფებოდა უზბეკეთსა და თურქმენეთში.

**თბილისის გერმის
დილემა - მწვანე
ნარკვევის
უკანონო ჭრა!**



იხავს თუ არა მოსახლეობა გაამკაცრებულ კანონს!?

თბილისის მერიის დილაგა - მწვანე ნარგავების უკანონო ჭრა!

ცოტა ხნის წინ ძალაში შევიდა კანონში ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს მწვანე ნარგავების დაზიანების ან თვითნებურად გაჩეხვის შემთხვევაში, ასევე, მოვლა-აღდგენის წესების დარღვევისთვის ჯარიმების გამკაცრებას. პირველ შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 5 000 ლარი, ნაცვლად ადრე არსებული 500 ლარისა, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმაა 10 000 ლარი, ნაცვლად 1 000 ლარისა. ასევე პირი, რომელიც მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გასცემს არასწორ დასკვნას, დაჯარიმდება 10 000 ლარის ოდენობით პირველ ჯერზე, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება ლიცენზია ჩამოერთვას და საქმიანობა აეკრძალოს.

2018 წლიდან დღემდე:
მოწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 100 ჰექტარის ფართობს;
რეაბილიტირებული პარკების საერთო ფართობია 45 ჰექტარი;
მოწყობილი და რეაბილიტირებული სკვერების საერთო ფართობია 40 ჰექტარი;
კუნძულებისა და გზაგამყოფების საერთო ფართობია 12 ჰექტარი;
რეაბილიტირდა 1000-ზე მეტი სკვერი, 17 პარკი, 65 მწვანე კუნძული;
გაშენდა 20 ჰექტარი ტყე;
დაირგო 215 000-ზე მეტი ძირი მწვანე ნარგავი;

ფიტოსანიტარიული კვლევა და წამლობა ჩაუტარდა 500 000-ზე მეტ მწვანე ნარგავს;
500 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაირგა და დაითესა ბალახი.

როგორ ვუვლით ტყე-პარკებს, სკვერებს და რა გახდა კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველი? რამდენადაა შესაძლებელი კანონის გამკაცრებული მოთხოვნების დაცვა? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი **ბიბა გიგაშვილი**.

— საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ძალაში შევიდა, მომზადებულია ჩვენი სამსახურის მიერ. პირველ რიგში, ინიციატივა გამომწვეული იყო შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობით. როდესაც ჩვენ მმართველობაში მოვედით, 2017 წელს პირველი გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ, ახლებურად ჩამოვყალიბეთ სანებართვო სისტემა, ექსპერტების საკითხი, გამწვანების პროექტთან მიმართებაში ახალი ვალდებულებები შემოვიტანეთ ურბანული დაგეგმარების დროს. შესაბამისად, ამ ცვლილებებმა რაღაც პერიოდი იმუშავა, თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნაკლოვანებები გამოვლინდა. პირველი, რაც თვალში საცემი იყო, ისაა, რომ ბოლო პერიოდში, დედაქალაქში ძალიან გახშირდა მწვანე ნარგავების უნებართვო ჭრები, რაც ძირითადად განპირობებულია მშენებლობით. მოქმედი რედაქციით აღმინისტრაციული ჯარიმა იყო

გათვალისწინებული მხოლოდ 500 ლარის ოდენობით. ეს არ იყო ადეკვატური სასჯელი იმ დანაშაულისა, რასთანაც გვაქვს საქმე. პირველი, რაც გავაკეთეთ, თანხა გავზარდეთ 500 ლარიდან 5000 ლარამდე, განმეორების შემთხვევაში 1000 ლარიდან 10 000-მდე. ვფიქრობთ, რომ ეს არის პრევენციისათვის საკმაოდ ეფექტური გადაწყვეტილება, რაც ადამიანებს უბიძგებთ, რომ აღარ ჩაიდინონ მსგავსი ტიპის დანაშაული.



საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უმრავლეს შემთხვევაში უკანონო ჭრა მოდიოდა კერძო სექტორიდან, დეველოპერებისგან. ჩვენ საკმაოდ გამკაცრებული გვაქვს ნებართვის გაცემა მწვანე ნარგავებზე და ვცდილობთ, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მწვანე გარემო. მოქმედი კანონმდებლობითა და საერთაშორისო პრინციპით, თანამედროვე ურბანული განვითარების განვითარებისას, პრიორიტეტი უნდა იყოს გარემოს დაცვა. დეველოპერი არსებულ გარემოს უნდა მოერგოს და ამ წინშით უნდა განვითარდეს ტერიტორია და არა — პირიქით, დეველოპერს მოერგოს არსებული გარემო და მისი შეხედულებისამებრ განვითარდეს მიწის ნაკვეთი. სწორედ ამან გამოიწვია წინააღმდეგობა და ამით იყო განპირობებული გახშირებული სამართალდარღვევები.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მეორე ნაწილი ეხებოდა ტექნიკური უზუსტობების გასწორებას. მაგალითად, გადარგვის შემთხვევაში ჩვენ დავაზუსტეთ ბევრი ტექნიკური ხარვეზი და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტები. ანუ, უფლებამოსილი პირები, ვინც გასცემენ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხთან დაკავშირებით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გვქონდა უმეტეს შემთხვევაში შეგნებულად არასწორი დასკვნები წარმოდგენილი. გვქონდა შემთხვევები, როდესაც ჯანსაღ ხეზე ჰქონდათ გაცემული დასკვნა, რომ ის იყო დაავადებული.

— როდესაც მსგავსი შემთხვევები იკვეთება, რა ბერკეტი აქვს მერიას?

— პრობლემა უსუსტად ეს იყო, ჩვენ არ გვქონდა სამართლებრივი ბერკეტი, გარდა იმისა, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე გავდიოდით, ალტერნატიულ ექსპერტიზას ვატარებდით და ამით ვხელმძღვანელობდით. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ რეგულაციები, რომლის მიხედვითაც თუ რეგისტრირებული ექსპერტი წარმოადგენს არასწორ დასკვნას ჯარიმდება 10 ათასი ლარით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში მას აეკრძალება საქმიანობა და მერიასთან ვეღარ განახორციელებს თავის საქმიანობას.

— იყო თუ არა შემთხვევები, როცა მასალეები შესაბამის სამსახურებს გადაეცემოდა?

— აქ არის სპეციფიკური გარემოება, ჩვენ გვაქვს საუბარი მცენარეებზე. დღესაც შეიძლება ერთი და იგივე ჯიშის ხე ერთნაირ გარემოში დავრგოთ, მოვუაროთ, მაგრამ ერთი გადარჩეს, მეორე გახმეს. შესაბამისად, გარდა სუბიექტური გარემოებებ-

ლისწინებული. მონიტორინგსაც ვატარებთ.

— კანონს უკუტყვივით ძალა რომ არა აქვს, ვიცი, მაგრამ როგორ მოქმედებს მერია კანონის მიღებამდე აშენებულ კორპუსებთან მიმართებაში, რა დროსაც გამწვანებისთვის არაა ვცალა?

— ასეთ შემთხვევაში დეველოპერს ვერ ვავალდებულებთ, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთ და ამხანაგობების მომართვის საფუძველზე, იმ ფინანსური შესაძლებლობის პირობებში რაც გამგებობს გააჩნია, მაქსიმალურად ვაკმაყოფილებთ მოთხოვნას.

— არაერთხელ გავრცელდა კადრები, სადაც ასახულია ვანდალიზმის ფაქტები...

— სამწუხაროდ, ვანდალიზმის ძალიან ხშირი შემთხვევაა, ჩვენ ყოველდღიურად ვებრძვით ამას. ვცდილობთ საზოგადოებას ავუხსნათ, რომ არ შეიძლება ასე მოქცევა. უმეტეს შემთხვევაში, ვანდალიზმს არასრულწლოვნები სჩადიან. საქმის კურსში ვაყენებთ მშობლებს. ეს განიხილება როგორც სახელმწიფო ქონების დაზიანება და ჯარიმაა გათვალისწინებული. ჩემი პირადი აზრია, რომ სანქცია შეიძლება არაა ზინის შესაბამისი, მაგრამ ალბათ სოციალური ფონიც გასათვალისწინებელია. ყველა ახალ პროექტშია გათვალისწინებული სამეთვალყურეო კამერები, ყველა პარკი აღჭურვილია. გარკვეულ პრევენციას ეს ახდენს, მაგრამ აქ უნდა ჩაერთოს ოჯახიც. ცნობიერების ამაღლებაა საჭირო, ჩვენ თუ არ გავუფრთხილდით გარემოს, მხოლოდ მერია, სახელმწიფო, ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის. მოქალაქეებმა თუ არ გაითვალისწინეს, რამდენჯერაც არ უნდა დაეკისუფთაოთ, დავრგოთ, გავაკეთოთ, შედეგს მაინც ვერ მივალწევთ.

რამდენიმე დღეა, მუხიანში მიმდინარეობს აქცია.

მოსახლეობა აცხადებს, რომ თბილისის მერი ბავშვებს ართმევს სტადიონს, რომ მოსახლეობა ითხოვს სკვერს, დასასვენებელ სივრცეს და კალაძე ამის წინააღმდეგია.

კიდევ ერთი ტყუილი, უსინდისო ბრალდება!

რა ხდება სინამდვილეში?

ტერიტორია გაყიდა გიგი უგულავამ 2008 წლის 5 აგვისტოს №01/1033 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. რომლის თანახმადაც უნდა აშენებულიყო 7 კორპუსი, თითოეული 16-სართულიანი. არავითარი სკვერი, არავითარი სტადიონი, არავითარი დასასვენებელი ადგილი, სკამიც კი გათვალისწინებული არ ყოფილა მხოლოდ შეიდი კორპუსი და თითოეული 16 სართულიანი!

კახა კალაძის ინიციატივით, რამდენჯერმე მოხდა გეგმის კორექტირება და მშენებლებმა როგორც იქნა, წარადგინეს გეგმა, რომელიც მოიწონა მერამ და 2019 წლის 16 დეკემბერს პროექტი „გააკეთდა მშობილეს“.

კერძოდ, შემცირდა კორპუსების და შესაბამისად, ბინების ფართობი (განაშენიანების ინტენსივობის ფართობი პქვია ამ „პროცედურას“) 5 268 კვ.მ-ით.

შედეგი: ნაცვლად შეიდი 16-სართულიანი შენობისა, დღევანდელი 6 კორპუსის განთავსება, სადაც 2 იქნება 14-სართულიანი და 4 კი 12-სართულიანი. და ყველაზე მთავარი, ოფიციალური ინფორმაციიდან ამონარჩი: „კორექტირების შესაბამისად, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სარეკრეაციო სივრცეების დაბალანსების მიზნით, ფუნქციური ზონირებად დაემატა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც წარმოადგენს 2380 კვ.მ-ს და გათვალისწინებულია კეთილმოწყობილი სტადიონის და გამწვანებული სარეკრეაციო სივრცის მოწყობა“.

ხეილი ხეების ჩივილი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის დედაქალაქშიც წლობით არ ჭრიან გამხმარ ხეებს. ისინი ხეებიან მოუვლელობით ან დაავადებებით. რეალური საშიშროებაა, რომ ეს დაავადება სხვა ნარგავებსაც გადაედოს და გავრცელდეს. ერთი ხე რომ ხმება, გარშემო მდგარი ხეებიც აავადდებიან და ნადგურდებიან. ეს დედაბუნების გრაგეიაა. არაფერ არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას, არც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და არც თბილისის მერია. რეგიონების მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ხომ გადაბეჭდული, ხმელი და დაავადებული ხეების ეგრეთ წოდებული სანიტარიული ჭრისთვის თანხებიც არაა აქვთ და სპეციალისტებიც არაა ჰყავთ!..

ორჯერ დაეწერე წერილი ქართულ პრესაში ამ პრობლემაზე, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ყრუ-მუნჯები სხედან ამ უწყებებში. სამწუხაროდ, ეკოლოგიას სათანადო ყურადღება არ ექცევა საქართველოში.

რაგომ ამხინჯებთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას, ნუთუ არ გრცხვენიათ?!

ოზარ პარპველაშვილი



„მხნეების“ დიასხვი უაიბნენ!



თავა წულუკიანი: ზურაბიშვილის ნათქვამმა, რომ ომი საქართველომ დაიწყო, სტრასბურგში ხელი შეგვიშალა!

„ჩვენ ის ხელისუფლება ვართ, რომელიც რუსეთს ელოლიავენა კი არა, ერთმეორის მიყოლებით მის წინააღმდეგ დავები ვაწარმოებთ და ეს დავები მოვიგებთ. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, სალომე ზურაბიშვილი სად ხედავს ლოლიობას. არ მახსენდება მისგან შემოთავაზებული არც ერთი დახმარება, როდესაც მე, როგორც იუსტიციის მინისტრი და სახელმწიფოს წარმომადგენელი მხარე სტრასბურგში ვიცავდი ქართველი ჯარისკაცის, პროკურორის, პოლიციის, ყველაფრის ინტერესს. ზურაბიშვილისგან ხელის შეშლის მეტი არაფერი მახსენდება, ეს არასოდეს მითქვამს. მახსენდება ერთი კონკრეტული, მწარე შემთხვევა, როდესაც სტრასბურგში ჩემი იურისტები მყავდა გაგზავნილი, უწყებათაშორისი შტაბი გვეკონდა შექმნილი აგვისტოს ომის საქმეზე. რუსები ამტკიცებდნენ — თქვენ მოიგონეთ, თავს დაგვესხით, ისკანდერი გორში არ ჩამოგვივადია, ეს ფოტოშოპიოა და ა.შ.

ამ დროს გამოდის ქალბატონი სალომე, რომელიც უკვე არის პრეზიდენტობის კანდიდატი და ამბობს, ომი ჩვენ დაიწყო. ეს ჩემთვის სერიოზული ხელის შეშლა იყო. მე ეს მისთვის არასოდეს მისაყვედურია და რაკი იმაზე მიდგა საქმე, ვის რა სურს და ვინ ვის ელოლიავენა, ეს არის ჩემი სერიოზული პრეტენზია. ამიტომაც უნდა ვიყო ყველა ფრთხილად, როდესაც ვიცი, რომ სადღაც დავა მიმდინარეობს საერთაშორისო დონეზე, რაღაც განცხადებებისგან თავი შევიკავოთ, მითუმეტეს, როდესაც ეს სიცრუეა. ასეთი რამ გააკეთა ზურაბიშვილმა, როდესაც ბრძოლის ველზე წასულ იურისტებს

ზურგში მიახალა ასეთი განცხადება და თქვა სიცრუე, რომ თითქოს საქართველოს ომი დაუწყია და ქართული ჯარი დაადანაშაულა. რა თქმა უნდა, რუსეთმა ეს ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენა. შემდეგ ჩვენ ძალიან დიდი მუშაობის შედეგად შევქელით ის, რომ ეს ყველაფერი გაგვებათილებინა“, — თქვა თავა წულუკიანმა.

შეგახსენებთ, რომ სალომე ზურაბიშვილის განცხადების შემდეგ, რომ ომი საქართველომ დაიწყო, „ქართულმა ოცნებამ“ ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა და როგორც „ოცნების“ ლიდერები ახლა აცხადებენ, ზურაბიშვილი მათ „გაიყვანეს“, „დასვეს“ პრეზიდენტად. ამდენად, წულუკიანის ზემოთმოყვანილი განცხადება, ახლა, როცა მმართველი პარტია აღიარებს ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში თავის წვლილს, ცოტა უცნაურიც კი არის.

ასევე შეგახსენებთ, სალომე ზურაბიშვილის განცხადებას: „ჯერ ერთი, უნდა ვიყო ტერმინებში სწორი. მე ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ ომი დაიწყო საუკუნის წინ რუსეთმა, ჩვენ იმ დროს ჩავერთეთ რუსეთის პროვოკაციაში და წავადით ამ საომარ ვითარებაში, საქართველომ დაიწყო ეს ნაწილი ამ საომარ ვითარების. ეს არის ყველასთვის ცნობილი და ოფიციალური ვერსია, რასაც ევროკავშირი ადასტურებდა, ჩვენ ამას არ გადავხედავთ. ომის ტრაგედია არის ჩვენი ტრაგედია და როგორც პრეზიდენტი ერთ რამეს გეტყვით, რომ პროვოკაციები, რომლებზეც მაშინ გვაფრთხილებდნენ ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები, პროვოკაციებს არ ავყვები. როცა ხარ პატარა ქვეყანა, შენ მტერზე უფრო ჭკვიანი უნდა იყო.“

ზაზა შათირიშვილი: ალბათ ბიძინა ივანიშვილი სწორედ ის აღაშენა, ვისაც შეუძლია, უფრო მეტი სიხსალე შეიტანოს მთელ ამ ისტორიაში!



ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი პარლამენტის წევრების დიმიტრი ხუნდაძის, სოზარ სუბარისა და მიხეილ ყაველაშვილის ამერიკის ელჩისადმი ღია წერილით მიმართვას ეხმაურება.

„მინდა გამოვეხმაურო საქართველოს პარლამენტის წევრების დიმიტრი ხუნდაძის, სოზარ სუბარისა და მიხეილ ყაველაშვილის ღია წერილს ამერიკის ელჩისადმი. ბოლო დღეებში ქართველი საზოგადოება ყურადღებით აკვირდებოდა თუ რა პასუხები ექნებოდა კელი დეგნანს მის მიმართ დასმულ საკმაოდ მწვავე და ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი შეკითხვებზე. სამწუხაროდ, ამერიკის ელჩმა კითხვებს პასუხი არ გასცა, რითაც არათუ გააღრმავა არამედ პირადად ჩემთვის საკუთარი დუმილით დაადასტურა ყველა ის ეჭვი, რაზედაც უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად ვწერ და ვსაუბრობ. კერძოდ:

ნამდვილად იგეგმებოდა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და უკრაინისთვის ტრაგიკული ხვედრის ჩვენი ქვეყნის ხარჯზე შემსუბუქება. რის გამოც არნახული ზენოლა მიმდინარეობდა საქართველოს ხელისუფლებაზე, ჩვენ ვნახეთ ხელისუფლების მისამართით განხორციელებული არაერთი პროვოკაცია, როგორც ქვეყნის შიდა ისე უკრაინული პოლიტიკური წრეებიდან.

ზენოლა მიმდინარეობდა პირადად ბიძინა ივანიშვილზე, რომელსაც აშანტაჟებდნენ შვეიცარიული ბანკის მეშვეობით, საკუთარ აქტივებზე წვდომის ხელოვნური ბარიერების შექმნით, ევროპარლამენტის რეზოლუციაში ოლიგარქად მოხსენიებით, სანქციების მუქარით. ეს ყველაფერი კი როგორც ჩანს მას შემდეგ დაიწყო, რაც ომის დაწყების შემდეგ ამერ-

იკის ელჩის ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრამ ამერიკელებისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ივანიშვილი პოლიტიკაში შემობრუნებასა და მეორე ფრონტის გახსნაზე ვერ დაიყოლიეს.

ივანიშვილზე და ხელისუფლებაზე ზენოლის პარალელურად როგორც ჩანს ამუშავდა ხელისუფლების გადატრიალების რევოლუციური გეგმა, ამერიკიდან ჩამოყვავთ რევოლუციების ტრენერი პიტერ აკერმანი და ბაკურიანში საიდუმლო შეკრებაზე ეძახიან ოპოზიციურ პარტიებს, ოპოზიციურ მედიას და ენჯელებს. აკერმანი გეგმის საბოლოო მიზანი უნდა ყოფილიყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გადატრიალება და მისი „ნაცმოძრაობით“ ჩანაცვლება, რის შემდეგაც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის გეგმაც უპრობლემოდ განხორციელდებოდა. სწორედ ამას ემსახურებოდა „კანდიდატის სტატუსის“ ვერ მიღებით „შემფოთებული“ ენჯელო სექტორი დაანონსებული ხელისუფლების გადაყენების და ტექნიკური მთავრობის შექმნის კამპანია.

ბუნებრივია, ჩემს მიერ ზემოთმოთხრობილი დიდი და სერიოზული ამბის მხოლოდ ნაწილია და სულ მალე კიდევ უფრო მეტი დეტალი გახდება ცნობილი. ალბათ, ბიძინა ივანიშვილია სწორედ ის ადამიანი, ვისაც შეუძლია უფრო მეტი სიხსალე შეიტანოს მთელ ამ ისტორიაში, დარწმუნებულნი ვარ, როცა დრო მოვა ის ამას აუცილებლად გააკეთებს“, — აცხადებს ზაზა შათირიშვილი.



დავით ხიდაშელი: ენას პართლას არა აქვს ძვალი...

„წინასწარ ლაპარაკი ტრაზანის ტოლფასია“, — ასე უპასუხა ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა „ვითიბი ბანკ საქართველოს“ შექმნასთან დაკავშირებით „აქციენტის“ კითხვას.

როგორც ბიზნესმენი წერილობით კომენტარში აღნიშნავს, „შეგვატყობინებს, როგორც კი რამეს შეიძენს“.

„წინასწარ ლაპარაკი ტრაზანის ტოლფასია. შეგატყობინებთ როგორც გავაკეთებ ან შევიძენ რამეს. საქართველოში დაგეგმილი მაქვს 47 პროექტი. რამდენი ტყუილებიც არ უნდა წერონ ჩემზე, ვინც არ უნდა ვცადოს დეზინფორმირებას ან ჩემს შეჩერებას, მაინც მივიყვან ბოლომდე ყველა პროექტს. მე პოლიტიკაში არ ვღებულობდი, არ ვღებულობ და არ ვაპირებ რაიმე მონაწილეობას არანაირი სახით. მე ვარ ქართველი და მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ დავიხმარო ჩემს საქართველოს, საზღვრების აღდგენა-გასწორებაში... საქართველო ეკუთვნის

ქართველებს და მეც მათი ნაწილი ვარ. რაც შეეხება ტყუილებით და უსაფუძვლო დაბრალებით ჩირქის მოცხების მცდელობებს ჩემს მიმართ: ისეთი ადამიანების დაუცველი დემოკრატია შექმნით მანდ რომ ჩვილსაც აზრი არ აქვს რასაც უნდა იმას იძახიან და წერენ... ენას ძვალი არ აქვს, ნათქვამია...

P.S. ამ ჩემ მოწერილსაც დაამახინჯებენ, მიაბავენ რამეს და დაამახინჯებენ, გააშუქებენ, ეჭვი არ მეპარება“, — აცხადებს ხიდაშელი.

ცნობისთვის: ამ დღეებში BMG-მ გააფრთხილა ინფორმაცია, რომლის თანახმად, „ვითიბი ბანკ საქართველოს“ ბიზნესმენი დავით ხიდაშელი ყიდულობს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „ვითიბი ბანკ საქართველოსთან“ დაკავშირებით განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ ოფიციალურად სებ-ში ბანკის ყიდვის ნებართვის თაობაზე არც ერთი მოთხოვნა არ შესულა.



ბიზ აბაშიძე: ბიორბი თარგამაძე არის ღალატის უორკმულა!



ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ამნაირ არაკაცებს ხმამაღლა, საჯაროდ არ ვეუბნებით, თუ რა დონის ავანტაჟები არიან, — ასე ხმინანება ანალიტიკოსი გიზ აბაშიძე გიორგი თარგამაძის Facebook სტატუსს. როგორც აბაშიძე წერს, თარგამაძე ღალატის ფორმულაა, რომელსაც არ ეთაკილება „იმედის“ დამრბევეებისგან ფულის მიღება.

„ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ამნაირ არაკაცებს ხმამაღლა, საჯაროდ არ ვეუბნებით თუ რა დონის ავანტაჟები არიან. გიორგი თარგამაძე არის ღალატის ფორმულა. მას არაფერი ეთაკილება, არც „იმედის“ დამრბევეებისგან ფულის მიღება და არც ნაცყარალების კმაყოფაზე ყოფნა. უდიდესი სირცხვილია გიორგი თარგამაძის ყურნალისტიად მოხსენიება“, — წერს აბაშიძე.



სალომე ზურაბიშვილმა 11 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ 11 მსჯავრდებული შეიწყალა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ცნობით, 10 მსჯავრდებული გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო ერთ მსჯავრდებულს მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, შეწყალებულთაგან ერთი ქალი მსჯავრდებულია.

უპრინციპის ომისა და რუსეთ-დასავლეთის ღია დაპირისპირების ფონზე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კვლავ აქტუალური გახადა. ამაზე მეტყველებს, ერთგვარიანი ინტერვალით, ორი უკიდურესად დაპირისპირებული სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში. და ეს არ იყო ბაიდევისა და პუტინის ვიზიტების მექანიკური დამთავრება დროში. მოგეხსენებათ, ამერიკასა და რუსეთს, თითოეულს, თავიანთი მხარდაჭერები ჰყავთ რეგიონში, და

სიჯი გაანმოვანეს, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ვერ დაეუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელსა და ამერიკას სრულად განსხვავებული დიპლომატიური მიდგომა აქვს თეირანის მიმართ, მათ ამ საკითხში მტკიცე ერთსულოვნება აჩვენეს სამყაროს. ორი ქვეყნის ლიდერმა ხელი მოაწერა სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციას, რომელშიც ხაზგასმულია ამერიკის მომავალი ძალისხმევა, ხელი შეუშალოს ირანს ბირთვული იარაღის დაუფლებაში.

ამერიკის პრეზიდენტი ისრაელიდან პალესტინაში გაემგზავრა, სადაც მან და პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ისრაელისა და პალესტინის მიმდინარე ურთიერთობები განიხილეს. ამის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტი საუდის არაბეთს ეწვია, სადაც ბაიდენი სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს სამიტს დაესწრო ქალაქ ჯედაში. საბჭოში 6 ქვეყანა შედის: საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ყატარი, კუვეიტი, ომანი და არაბთა გაერთიანებული ემირატები. შეხვედრას, გარდა ამერიკისა, ეგვიპტის, ერაყისა და იორდანის ლიდერებიც დაესწრნენ.

ჯო ბაიდენმა, ერთგვარად, დაამყარა სპარსეთის ყურის ქვეყნების ლიდერები, რომ ამერიკა არასოდეს არ დატოვებს ახლო აღმოსავლეთს და ჩინეთს, რუსეთსა და ირანს არ მისცემს რეგიონში თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალებას. ამერიკა განაგ-

ბაც დიდი საქმეა, რადგან საუდის სამეფოს მხრიდან ეს პირველი პოზიტიური ნაბიჯია ამერიკის მიმართ. ბაიდენის ახლო აღმოსავლეთში ვიზიტისა და მისი სამიტში მონაწილეობის შედეგად, რამდენიმე კონკრეტული საკითხი გადაწყდა: ამერიკა და სპარსეთის ყურის ქვეყნები, ერთობლივად, 11 მილიარდ დოლარს გამოყოფენ გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; საუდის არაბეთი ისრაელს საპერო სივრცეს გაუხსნის; ამერიკა თავის სამხედრო ძალებს გაიყვანს ნითელ ზღვაში მდებარე კუნძულებიდან, რაც მნიშვნელოვანი დიპლომატიური მიღწევაა საუდის არაბეთისთვის.

საუბარია კუნძულებზე ტირანი და სანაფირი, რომელიც ისრაელმა ეგვიპტის ნ-დღიანი ომის დროს წაართვა. მოკლედ, ბაიდენის ახლოაღმოსავლური ტურნე, შეიძლება, მონაკლებად წარმატებულად ჩაითვალოს, თუმცა, საყურადღებო გარღვევა არ მომხდარა. რეგიონის ამერიკელმა ექსპერტმა კერსტინ ფონტნოროზმა მთელ ამ ამბავს უწოდა აურზაური არაფრის გამო, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამერიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ხელახლა აპირებს ფეხის მოკიდებას.

ირანის ბოლო შაჰის ტრაგედია

ირანი ახლო აღმოსავლეთში მუდამ ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო იყო. მისი გავლენა მსოფლიოზე, ზოგადად, და ახლო აღმოსავლეთზე, კონკრეტულად, არასოდეს



შექმნილია მგომარეობამ საჭირო გახადა მათი ურთიერთობის განმტკიცება მოკავშირეებთან.

თუ ჯო ბაიდენის ახლოაღმოსავლური ვოიაჟის მთავარი ადგილი ჯედა იყო, საუდის არაბეთის მთავარი საპორტო ქალაქი ნითელ ზღვაზე, ვლადიმირ პუტინმა შეხვედრების არენად ირანის დედაქალაქი თეირანი არჩია. ამ ვიზიტით, რუსეთის პრეზიდენტმა დასავლეთს აცნობა, რომ მისი ქვეყანა, მიუხედავად სანქციებისა, არ არის იზოლირებული. დასავლეთი კი, პირიქით, ხაზს უსვამს იმას, რომ სწორედ პუტინის ეს ვიზიტი ირანში მიუთითებს რუსეთის საერთაშორისო იზოლაციაზე უკრაინაში შეჭრის გამო. ირანი ხომ იყო კეთროვან ქვეყნების სიაში, ახლა, მას რუსეთიც შეუერთდაო, ასე განაცხადა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა, ბატონმა ჯონ ქერბიმ. ირანის მთავრობამ რუსეთის პრეზიდენტი დიდი ზარზეიმით მიიღო.

პუტინი ჯერ ირანის პრეზიდენტს შეხვდა, მერე, ირანის სასულიერო ლიდერს აიათოლა ხამენეის ეწვია, რომელმაც, ზოგადი განცხადებით, დაგმო ომი, მაგრამ, ბოლოს, მაინც რუსულ ნარატივს მიემხრო, და ომის დაწყება დასავლეთს დააბრალა. რუსეთისა და ირანის სახელმწიფო მეთაურების შეხვედრაზე, განხილვის ერთერთი საკითხი რუსული ნავთობის გადაზიდვა იყო აზიის ქვეყნებში ირანის ტერიტორიის გავლით. ცნობილია, რომ არსებული სანქციები აფერხებს ასეთ გადაზიდვებს, რის გამოც რუსეთის მიზანია, ირანის დახმარებით მიანოლოს ნავთობი აზიას. საკითხი ვერ გადაწყდა იმ მარტივი მიზეზით, რომ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, ირანი რუსეთის კონკურენცია და, ცხადია, ირანს ხელს არ აძლევს რუსეთისთვის ასეთი დახმარების განევა, თუმცა, რუსულმა გაზრობამ და ირანის ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, ირანში გაზის ორი და ნავთობის ექვსი საბადოს ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ.

ეს 40-მილიარდდოლარიანი გარიგება ონლაინ რეჟიმში მოხდა. შესაბამისი ცერემონიაც ვირტუალური იყო. პუტინის ახლოაღმოსავლური ტურნეს ფარგლებში, ასტანას სამიტის ეგიდით, ირანის, რუსეთისა და თურქეთის ლიდერთა შეხვედრაც გაიმართა. შეგახსენებთ, ეს ქვეყნები სირიის კონფლიქტის მოგვარების გარანტი ქვეყნებია. ამ ფორმატში, პირველი შეხვედრა 2017 წელს, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართა და ამიტომ დაერქვა მას ასტანის სამიტი. ცხადია, შეხვედრის მთავარი თემა სირია იყო. მდგომარეობა მართლაც რთულია სირიაში. პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით თუ ვიმჯდვლებთ, თურქეთი, ქურთული საფრთხისგან თავდასაცავად, სამხედრო ოპერაციის ჩატარებას აპირებს სირიის ჩრდილოეთში.

სირია, თავის მხრივ, ირანს უწყობს, რომ თავის ტერიტორიას დაიცავს. ირანი და რუსეთი თურქულ მხარეს მოუწოდებს, კონფლიქტი სირიისთან დიპლომატიური გზით მოაგვაროს, მაგრამ პუტინი და ერდოღანი ამ საკითხზე მაინც ვერ შეთანხმდნენ. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს უკრაინული სოფლის განმარტებული საკითხი. 20 მილიონ ტონამდე უკრაინული სოფლისა და ბლოკირებული რუსეთის საზღვაო ძალების მიერ. პრობლემის მოგვარება გაეროცაა ჩარეული. ერთი სიტყვით, შეხვედრებმა აჩვენა, რომ რუსეთი ცდილობს გაარღვიოს დიპლომატიური იზოლაცია, რაც, ჯერჯერობით, არ გამოდის. ვითარებას ეტყობა, რომ, ამ ეტაპზე, სამეფო ახლომოკავშირეობას ვერ მიაღწევს. კონკურენტები არიან და იმიტომ...

ჯო ბაიდენმა თავისი პირველი საპრეზიდენტო ტურნე განხორციელა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც დასავლეთის მედია დახასიათა, როგორც რთული და ამერიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი. ვიზიტი ისრაელით დაიწყო, და ირანსა და მის ბირთვულ პროგრამას შეეხო. იერუსალიმში გამართულ ამ შეხვედრაზე ბაიდენმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იაირ ლაპიდმა ერთობლივი მე-

ჯო ბაიდენი - ახლო აღმოსავლეთში, პუტინი - აპერიკისთვის კეთროვან ირანში...

რომბს ახლო აღმოსავლეთთან აქტიურ პარტნიორობას, და სამყაროში დღეს არსებული რთული ვითარების ფონზე, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის ეროვნული ინტერესები უშუალო კავშირშია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესებთან, განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

ბაიდენის ახლოაღმოსავლური ტურნეს მთავარი შეხვედრა სამიტის დაწყებამდე შედგა. ეს იყო მისი პირველი საუბარი საუდის არაბეთის დე-ფაქტო ლიდერთან, უფლისწულ მოჰამად ბინ სალმანთან, რომელსაც მედია ასეთი აბრევიატურით უფრო იცნობს, MBS. შეიძლება ითქვას, მთელი მსოფ-

არ შემწყდარა, რაც არ უნდა ცვალებადი ყოფილიყო მისი სახელმწიფო წყობა თუ ეკონომიკური სიმძლავრეები. მას როგორც წესი, საუკუნეების მანძილზე, შაჰები მართავდნენ. თანამედროვე ირანი თეოკრატიულ რესპუბლიკად 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა, და ახლა მას მთავარი სასულიერო პირი აიათოლა მართავს.

დღეს მოგიყვებით, თუ როგორ და რატომ გაუქმდა ირანში შაჰის მრავალსაუკუნოვანი, უაღრესად გავლენიანი ეროვნული ინსტიტუტი და რა ცვლილებები მოჰყვა ამ პროცესს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ირანის უკანასკნელი შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ქვეყანას 1949 წლიდან მართავდა. მის მიერ მართული ირანი, იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სახელმწიფო იყო მაჰმადიანურ სამყაროში. მაშ, რატომ მიეცა ასეთ პროგრესულ ირანში ურბანატისკო ფუნდამენტალისტურ ისლამურ რადიკალიზმს? მოდით, თავი გადავავლოთ ირანის უახლეს ისტორიას. 1953 წელს, შაჰმა რეზა ფეჰლევიმ კინალამ დაკარგა ტახტი. მისმა პრემიერ-მინისტრმა, მოჰამედ მოსადეკმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა, მაგრამ შაჰი შეთქმულებას ამერიკისა და ინგლისის ძალისხმევით გადაურჩა, რამაც, საბოლოო ჯამში მათი სტრატეგიული ურთიერთობა განაპირობა.

საინტერესოა ისიც, რომ მაშინ ირანს ისრაელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა. შაჰის პოლიტიკური კურსი აშკარად პროდასავლური იყო: არჩევნებში ქალთა მონაწილეობა, სეკულარიზმი სახელმწიფო სტრუქტურებში, დასავლური სტილის საზოგადოებრივი საქციელი, უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები, თანამედროვე სასწავლებლები, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სპარსელი ახალგაზრდები დასავლეთის უნივერსიტეტებში და ასე შემდეგ. შაჰი გამალებით ნერგავდა ცხოვრების დასავლურ სტილს. ირანის ურბანული ცხოვრება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ევროპულსა და ამერიკულს: ყვაოდა საბანკო სისტემა, წარმატებით მუშაობდა კაზინოები, კინოთეატრები და ლამის კლუბები, ისმოდა დასავლური მუსიკა. ირანელი ქალები მოდების ევროპული ჟურნალების მიხედვით იცვამდნენ და ისურავდნენ.

და მაინც, ამ სპარსულ დასავლურობას, რეჟიმის დიდი სისასტიკეც ახლდა, დაუფარავი კორუფციაც და აღვირახსნილი ნეპოტიზმიც. ერთი შეხედვით, დასავლურად მოაზროვნე შაჰი, სანამდევლები, პირნავარდნილი ავტორიტარული მმართველი გახლდათ. ქვეყანაში მხოლოდ ერთი, ეროვნული ალორძინების პარტია არსებობდა, რომლის წევრობა სამსახურებრივი წარმატების მთავარი წინაპირობა იყო. შაჰი სასტიკად სდევნიდა პოლიტიკურ ოპონენტებს, და არც მათ სიკვდილით დასჯას თავილობდა. მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა მისი საიდუმლო პოლიცია სავაქი,



ლიო იყო ამ შეხვედრის მოლოდინში, რადგან უთიერთობა ორ ლიდერს შორის გაზეთ „ვანინგტონ პოსტის“ ჟურნალისტის, ჯამალ საშოგის კვლევის გამო დაიძაბა, როცა ინციდენტთან დაკავშირებით, ბაიდენის კრიტიკა საუდის არაბეთის პრინციპს იყო მიმართული. ურთიერთობა პრაქტიკულად განყვეტილი იყო ორ ქვეყანას შორის. მხარეები შეეხნენ ნავთობით ვაჭრობის ურთულეს საკითხებს. შეხვედრაზე, საუდის დე ფაქტო ლიდერმა დასავლეთის გასაგონად თქვა, რომ მსოფლიოს ყველა ერსა და კულტურას თავისი ტრადიციები და ცხოვრების სტილი აქვს.

ამიტომ, ერთმა ქვეყანამ მეორეს არ უნდა ასწავლოს, თუ როგორ იცხოვროს. მეგობრობა და პარტნიორობა ერთმანეთის პატივისცემას ნიშნავსო, განაცხადა პრინციპმა. საუბრის მთავარი თემა ენერგორესურსები იყო. სწორედ ამ საკითხის გამო მოუხდა ბაიდენს თავისი საგარეო პოლიტიკის გადახედვა. ადრე, ამერიკის პრეზიდენტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისგან, სახელდობრ, საუდის არაბეთისგან დისტანცირებას არჩევდა. უკრაინის ომმა კი აჩვენა, რომ დასავლეთმა თავისი იდეალისტური განწყობები გვერდზე უნდა გადადოს და რეალ-პოლიტიკის გატარებას შეუდგეს. საუდის უფლისწული ბაიდენს შეჰიროდა, რომ მისი ქვეყანა ნავთობის მოპოვებას გაზრდის, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი, რასაც მისგან უნდა ელოდნენ, ახალდენე 10 მილიონი ბარელის დღიური მოპოვების 13 მილიონამდე გაზრდაა.

ცხადია, ამერიკას მეტი სჭირდება, მაგრამ ასეთი დაპირე-



რომელიც კომუნისტებს არ წყალობდა. შაპის ირანში სახელწოდება ცენტრალური მინისტრებისა და სიტყვის თავისუფლებაზე საჯარო გამოცხადება და მანიფესტაციებზე რომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. მიუხედავად ნავთობით ვაჭრობის ხარჯზე მიღწეული მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისა, ქვეყანაში საშინელი სოციალური უსამართლობა სუფევდა.

შაპის მთავარ საზრუნავად მისი ოჯახის წევრებისა და დაახლოებულ პირთა კეთილდღეობა და უსაფრთხოება იქცა, რომლებიც თავბრუდამხვევ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ მოკვდავთ თავი ძლივს გაპქონდათ. შაპის გარემოცვის შენახვა სახელმწიფოს ასობით მილიონი დოლარი უჯდებოდა, რაც ხალხს შეუმჩნეველი არ დარჩა. გარდა ამისა, შაპის ეკონომიკური რეფორმებმა კრახი განიცადა, რასაც ინფლაცია და ფასების მუდმივი ზრდა დაემატა. უბრალო ხალხის გარდა, უკმაყოფილება ირანის რელიგიურ წრეებსაც დაეტყობოდა, რადგან მათი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თვალსა და ხელს შუა მცირდებოდა. ქვეყნის დაჩქარებულმა მოდერნიზაციამ, სახელწოდება მართვისა და ცხოვრების სტილმა, რომელიც ირანის ტრადიციულ შიიტურ ისლამს მკვეთრად დაშორდა, შაპის რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულ სპარსელთა უმრავლესობა შიიტური ისლამის დროშის ქვეშ გააერთიანა.

სასულიერო ლიდერთა შორის ყველაზე მკვეთრად, აიათოლა რუჰოლა ჰომეინის გრანდიოზული ფიგურა გამოიკვეთა, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მან მკაცრად გაილაშქრა შაპის ეგრეთ წოდებული თეთრი რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც სოციალურ რეფორმებსა და შიიტური სასულიერო პირებისათვის მატერიალური პრივილეგიების შეზღუდვას ითვალისწინებდა. ჰომეინი დააპატიმრეს, რასაც მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. დემონსტრაციებს, რა თქმა უნდა, სასტიკად არბევდა შაპის რეჟიმი. გათავისუფლების შემდეგ, ჰომეინის კრიტიკის უპირველესი სამიზნე ამერიკასთან და ისრაელთან შაპის თანამშრომლობა გახდა. ის კვლავ დააპატიმრეს და ერაყში გადაასახლეს, სადაც 14 წელი ცხოვრობდა.

სწორედ ერაყში ჩამოაყალიბა ჰომეინი თავისი ცნობილი რევოლუციური იდეოლოგია, რომლის ერთ-ერთი დებულება უარყოფდა ორი სუბერსანდელმწიფოს, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის გავლენას მასშტაბურად. ჰომეინი, ფაქტობრივად, სხვადასხვა განაცხადს აკეთებდა ირანის ლიდერის როლზე მუსლიმურ სამყაროში. მისი წიგნები ირანში სწრაფად გავრცელდა და მასზე მისი იდეები მალე აიტაცეს. 1977 წელს, ამერიკის პრეზიდენტმა კარტერმა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ირანის შაჰსაც მიმართა, რის შედეგადაც ბევრი პატიმარი გაათავისუფლეს, მაგრამ იმავე წელს, საჯარო ოპოზიციის ერთ-ერთი იდეოლოგი ალი-შარიაი განაადგურა.

ბინდით მოკლულ ვითარებაში დაიღუპა თავად ჰომეინის შვილი მუსტაფა. ამ კვლავობებმა მასობრივი დემონსტრაციები გამოიწვია. ამერიკის იმდროინდელ ადმინისტრაციას ემინოდა, რომ ირანი უკონტროლო ქვეყანად იქცეოდა. ამიტომ ამერიკელებმა, საიდუმლო არხების მეშვეობით, ირანის ოპოზიციის დახმარება დაიწყეს. გაჯიუტებული შაპი კი, არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა, რის გამოც, დასავლეთიც გადაიკიდა. ჰომეინი პარიზში დაიდო ახალი ბინა, სადაც მას ლექციების კითხვისა და მასშვიდით გამოხვების უფლება მისცეს. მოჰამედ რეზა ფაჰლევის რეჟიმის დასასრული 1978 წლის 7 იანვარს დადგა მინდა ქალაქ ყუმში, სადაც დემონსტრაციის დასაშლელად არმიამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. მაშინ, 70 კაცი ემსხვერპლა რეჟიმს. საპროტესტო ტალღა მოედო სხვა ქალაქებშიც. დემონსტრანტები წავიდნენ მდიდრულ სასტუმროებს, კინოთეატრებს, ბანკებს, ოფისებს. თავრიზში, ჯართან დემონსტრანტების შეტაკების შედეგად, 100-მდე ადამიანი დაიღუპა. პროტესტის დაწყებიდანვე, მეჩეთი შაპის რეჟიმით უკმაყოფილო მოქალაქეების თავშესაფრად იქცა. მომენტალურად იმატა სასულიერო პირთა გავლენამ.


1978 წლის მიწურულს, შაპმა კონტროლის დასამყარებლად საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და მთავრობა დაითხოვა. ქვეყანას სათავეში სამხედრო კაბინეტი ჩაუდგა, რომელსაც ვითარება უნდა განემუხტა. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ფაჰლევის ეს გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო. იმ დროისთვის, ირანის ყველა დიდ ქალაქში მისი საწინააღმდეგო აქციები იმართებოდა. გაიფიცა საჯარო სექტორიც. ქვეყნის მამოძრავებელი ნავთობის ინდუსტრია იმ დროისთვის უკვე უმოქმედო იყო. 1978 წლის 2 დეკემბერს, თეირანში, დემონსტრანტთა რაოდენობამ ორ მილიონს გადააჭარბა. მოთხოვნა ასეთი იყო: შაპის გადადგომა და ჰომეინის ირანში დაბრუნება. პროტესტზე არასათანადოდ მკაცრი რეაქციის გამო, ფაჰლევი საკუთარ მომხრეებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. მისმა მხარდამჭერებმა არ იცოდნენ ის, რაც ცნობილი იყო შაპის მკურნალი ექიმებისთვის. 58 წლის შაპი კიბოს უიშვიათესი ფორმით იყო დაავადებული.

პირველ იანვარს გაკეთებული განცხადების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ირანის შაპი ტახტისთვის ბრძოლას აღარ ამორბედა. მას არათუ პოლიტიკური, არამედ, ზოგადად, ცხოვრების გაგრძელების იმედიც აღარ შეერჩენოდა. 1979 წლის 16 იანვარს, მოჰამედ რეზა ფაჰლევი ოჯახთან ერთად კერძო თვითმფრინავით თეირანიდან გაფრინდა და უკან არასდროს დაბრუნებულა. შაპის წასვლიდან ორი კვირის თავზე, 14-წლიანი გადასახლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა რევოლუციის მთავარი შემოქმედი და ირანის მომავალი უმადლესი ლიდერი აიათოლა ჰომეინი. ის დაბრუნდა ირანის განახლების, ახალი წესრიგისა და ახალი სახელმწიფოს იდეით, რომლის მსგავსიც მსოფლიოს მანამდე არ ენახა.

ნუზუარ პ. რუხაძე
POSTV



23 ივლისს აფხაზეთში ე.წ. სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნა. დღესასწაულზე გამომიტანეს დროშები, რომლებიც ანაც ერთი საქართველოს სახელმწიფო დროშას ჰგავდა. რა დროს იყო სინამდვილეში და რატომ გამომიტანეს ის გვიგე?



რა დროშები გამოვიტანეს სოხუმში?

რა ჩანდა ინტერნეტით გაპრეზენტებულ ვიდეოში?

ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოები, რომლებზეც სოხუმში ცხენოსნების მსვლელობაა გადაღებული. კადრებში ჩანს, როგორ მოაქვს ერთ-ერთ მხედარს თეთრი დროშა, შუაში ნითელი ჯვრითა და ოთხი ნითელი რგოლით. ფეისბუქზე კადრების გავრცელების შემდეგ, ბევრმა ეს დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად მიიჩნია და აღიქვა, როგორც აფხაზების პოზიტიური გზავნილი ქართველების მიმართ. ზოგმა ისიც თქვა, რომ სოხუმში უკრაინული დროშაც ჩანდა.

ფეისბუქი წაღვეა კომენტარებმა: „ვერ ვიჯერებ, ეს როგორ?“, „და ცოცხალია ამის შემოქმედი?“, „რა ხდება?“, „რატომ გაგვიკვირდათ ჩვენივე მიწაზე ჩვენნივე დროშა?“, „მოდიან აზრზე“, „ვაიიი, ახლა მართლა გამიკვირდა“, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, „სიზმარში ხომ არ ვარ, მითხარით ვინმემ“, „მონტაჟია...“

რა ხდება სოხუმში?

23 ივლისს აფხაზეთში ე.წ. სახელმწიფო სიმბოლიკის დღეს აღინიშნავს. წელს შესრულდა 30 წელი მას შემდეგ, რაც 1992 წელს აფხაზეთის დროშა და გერბი დამტკიცდა. ამ თარიღის აღსანიშნავად სოხუმში (და არა მარტო) მოეწყო ზეგმი, რომლის ბოლოს ცხენოსნებმა აფხაზეთის ისტორიული დროშებით ჩაიარეს. სცენაზე მდგარი მსახიობი კი ამ დროშების ისტორიებს ჰყვებოდა.

რაც შეეხება უკრაინის დროშას, რომელიც ასევე „დაინახეს“ ზეგმზე, ის უბრალოდ ერთ-ერთი ადგილობრივის ლურჯ-ყვითელი ქოლგა იყო.

სინამდვილეში რა დროშა ააფრიალეს აფხაზეთში სხანოსნებმა?

დროშა, რომელიც ვიდეოზე ჩანს, ჰერალდიკის ექსპერტებისთვის კარგად არის ნაცნობი. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა გონგაძე ამბობს, რომ ის მე-14 საუკუნის საზღვაო რუკებზე გვხვდება. ისტორიული დროშა აფხაზეთში ხშირად გამოაქვთ გამოფენებზე.

„რუკაზე სოხუმის თავზე ეს დროშა იყო გამოსახული. სუთჯვრიანი დროშებიც არის იგივე რუკებზე სხანოსნების (ახლანდელი სოხუმის) გასწვრივ. ეს დროშა ყველაზე ძველია, ამიტომ ყველაზე პირველი ის გამოაქვთ ხოლმე. გარდა ამისა, ხშირად, როდესაც თბილისის თავზე (იგულისხმება თბილისის რუკაზე – რ.თ.) სუთჯვრიანი დროშას გამოსახავდნენ, სოხუმთან დასაბუთი იყო დროშა ჯვრებით და მწვანე ზოლებით. აფხაზეთში ეს დროშაც გამოაქვთ გამოფენაზე. უბრალოდ რატომღაც წელს მოხვდათ თვალში.“

ეს რუკები საქართველოს სახელმწიფო დროშის მთავარი წყაროებია. მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ეს დროშები საქართველოს რუკებზე დაიტანებოდა, – ამბობს მამუკა გონგაძე, – დროშა ერთი დიდი ჯვართით და ოთხი რგოლით ზუსტად იგივეს ნიშნავს, რასაც სუთჯვრიანი დროშა – მაცხოვარს და ოთხ მხარეებელს.“

„რადიო თავისუფლების“ ბლოგერი ვიტალი შარია, თავის ბლოგში – „აფხაზეთის დროშის შექმნის ისტორია“ – ყვება, თუ როგორ მტკიცდებოდა 1992 წელს აფხაზეთის დროშა და გერბი. თუკი გერბი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზ დეპუტატებსაც მოეწონათ და ქართველებსაც, დროშაზე აზრები გაიყო. ქართველი დეპუტატები მწვანე ზოლებს ისლამის სიმბოლიკად მიიჩნევდნენ.

„აფხაზეთი მხარე პასუხობდა, რომ მწვანე ფერი გვხვდება იტალიის დროშაზეც, რომელიც საერთოდ არ ითვლება მუსულმანურ ქვეყანად. ვალერი გამგია (დროშის ავტორი მხატვარი – რ.თ.) ასე განმარტავდა: თეთრი ფერი არის სულიერების სიმბოლიკა, მწვანე – ახალგაზრდობისა და სიცოცხლის“, – წერს ვიტალი შარია.

მამუკა გონგაძე ადასტურებს, რომ მწვანე ზოლები აფხაზეთის დროშაზე ისლამთან არაფერ შუაშია. ერთი ვერსიით, მწვანე ფერი არის ოდიშის სამთავროს, დადიანების სიმბოლიკა. ეს ფერი დროდადრო ჩნდებოდა სოხუმთან რუკებზე, მაშინ როცა დადიანის გავლენა ამ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

თავა თოფურიანი

„რაიო თავისუფლის“ ჟურნალისტი 2012 წლიდან.

ისრაელ-რუსეთის ურთიერთობა იკაბება

მბრალული სააგენტოს „სოჰნუტის“ ფილიალის დახურვის შემთხვევაში, ისრაელი ამირებს, რუსეთის წინააღმდეგ მიიღოს არაერთი ზომა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იაირ ლაპიდმა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა, მოამზადოს მთელი რიგი „პოლიტიკური ზომებისა“ რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთში ებრაული სააგენტოს „სოჰნუტის“ წარმომადგენლობის ლიკვიდაციის შემთხვევაში.



იაირ ლაპიდი, რომელიც ამავდროულად, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებს, უახლოეს დღეებში გადაწყვეტს რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ზომების საკითხს. ისრაელის ყოფილმა ელჩმა რუსეთში ზვი მაგენმა განაცხადა, რომ ისრაელის ხელისუფლებას რუსულ მხარეზე ზეწოლის არაერთი ვარიანტი აქვს, მათ შორის დასავლეთის სანქციებთან შეერთება. მანამდე, 24 ივლისს, იაირ ლაპიდმა განაცხადა, რომ სააგენტოს დახურვა წარმოშობს საფრთხეს, რაც სავალალო გავლენას მოახდენს რუსეთის ისრაელის ურთიერთობებზე. მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა პრობლემა დაილოგოს გზით მოგვარდეს.

28 ივლისს მოსკოვის ბასმანის რაიონული სასამართლო განიხილავს რუსეთის იუსტიციის სამინისტროს საჩივარს ებრაული სააგენტო „სოჰნუტის“ ლიკვიდაციის შესახებ. ისრაელის მედიის ინფორმაციით, რუსეთმა ისრაელს წერილი გადასცა, რომელშიც ნათქვამია, რომ სააგენტო სისტემატურად არღვევს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონებს რუსეთის მოქალაქეებისთვის, რომლებიც არიან ისრაელში იმიგრაციის კანდიდატები.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ებრაული სააგენტო ისრაელისთვის“ ეწევა მთელ მსოფლიოში ებრაელებს შორის ურთიერთობის უზრუნველყოფას, ასევე რეპარაციის საკითხებს.

განსხვავება

„ექსპორტის მიხედვით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ვილური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სავაჭრო საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიხედვით აუქციონის გამართვის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, მიმდინარე წლის 27 ივლისიდან ცხადდება აუქციონი სახელმწიფო ტყის ფართობზე, (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, „ექსპორტის მიხედვით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ვილური ფლორისა და ფაუნის სახეობებით სავაჭრო საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიხედვით.

23	თლული	27	1	10	90337
24	თლული	27	3,4	10	60336
25	თლული	30	1,2,3,8	5	30168
26	თლული	30	9,11,13,14,16,20	5	45168.5
27	ნიკორწმინდა	6	2,3	10	90337
28	ნიკორწმინდა	6	4,5,6	5	45168.5
29	ნიკორწმინდა	18	1,2,3,5	10	90337
30	ნიკორწმინდა	18	6,8	5	30168
31	ნიკორწმინდა	28	1	20	120672
32	აზნოეთი	43	6,9	10	90337
33	შოვი	34	12	5	45168.5
34	მაჭარწყალი	4	13,15,16,20	5	45168.5
35	მაჭარწყალი	6	4,5,6,7,8,9,10,11,12,14,15,16	5	30168

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრულ სალიცენზიო ფართობზე
- ბ) დაიცავს სოჭის გირჩის მოპოვების დასაშვები მოცულობა (კვოტა), რომელიც ყოველწლიურად დგინდება ლიცენზიის გამცემის მიერ;
- დ) სალიცენზიო ფართობზე სოჭის გირჩის დამზადება აწარმოოს სექტემბერ-ოქტომბერში;
- გ) კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში დაიცავს სალიცენზიო ფართობი უკანონო ტყით სარგებლობისაგან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ; შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, 1 სექტემბრამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მიმართოს ტყის მართვის ორგანოს სალიცენზიო ფართობის გადამოხრების, ხოლო 1 ნოემბრამდე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა - გადაბარებისათვის; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ასევე უზრუნველყოს გადაცემული ფართობის მიღება-ჩაბარების აქტით დაბრუნება ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში;
- დ) უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა;
- ე) ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს განახორციელოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები (გარდა სამეურნეო ჭრებისა); სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები ტარდება ლიცენზიის მფლობელის შეტყობინების შემდეგ;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, გადაიხადოს სოჭის გირჩით სარგებლობის რეგულირების საფასური;
- ზ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
- თ) სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, მოპოვებული სოჭის გირჩიდან მიღებული არაუმეტეს 10 000 სოჭის ნერვის გაშენებისათვის საჭირო სოჭის თესლი უსასყიდლოდ გადასცეს შესაბამისი პროექტის/სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ პირს“.

ი) აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის 50%-ის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

კ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს ამ ბრძანების მე-7 პუნქტით აუქციონზე მის მიერ დასახელებულ საბოლოო/შემთავაზებულ თანხის გადახდის წესს, იგი ვალდებულია დაარღვევოს დღიდან ყოველ გადაცემულ საშუალო დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო იმ პერიოდისათვის გადასახდელი (ვადაგადაცილებული) თანხის 1%-ის ოდენობით, ძირითადი თანხის გადახდის გადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 საშუალო დღეს, ამავე ვადაში დაფარული უნდა იქნეს პირგასამტეხლოც, რომელთა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

სარგებლობის ლიცენზიის ვადებისა და აუქციონის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია და გამართვის ვადები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტგვერდზე <https://www.eauction.ge>.

ლოტი	სატყეო	კვარტალი	ლიტრები	წლიურად მოსაპოვებელი რესურსი (ტონა)	საწყისი ფასი (ლარი)
1	თლული	3	27,29,35,36,37	20	180676
2	თლული	3	44,45,46,49,51,60,61,63,64,67,68	20	120672
3	თლული	12	1,2,4,5,6,7	10	60336
4	თლული	12	8,9,11,13,14,15,18	20	180676
5	თლული	12	19,20,22,27,30	20	180676
6	თლული	13	1,2,6,7,9,10,12,13,14,15	20	120672
7	თლული	13	16,17,18,19,20,21	20	180676
8	თლული	14	1,2,4,6,8	10	60336
9	თლული	14	9	10	90337
10	თლული	15	1,2,4,6,7,10	15	135506
11	თლული	16	1	10	60336
12	თლული	16	2,3,4	10	90337
13	თლული	17	3	10	90337
14	თლული	17	4	10	60336
15	თლული	18	1,3	10	90337
16	თლული	18	14	5	30168
17	თლული	19	6	10	60336
18	თლული	19	7	10	90337
19	თლული	20	7,8,9,10,11,12,13	20	120672
20	თლული	20	14,15,16,17	20	180676
21	თლული	21	5	10	60336
22	თლული	21	11,12,13	10	60336

ლა 5 ინფიცირებული. ინფიცირების 5 904 შემთხვევა თბილისში გამოვლინდა. სულ 9 793 ტესტი ჩატარდა, დადებითობის მაჩვენებელი 13,81 პროცენტია.

ღვიძარადასაპრობილი პასიენტი თავეს კარგად გრძნობს!

ოპერირებადი ტერიტორიებიდან დევილითა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ქობულაში, ორგანიზაცია ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი მოინახულა – დავით ჩხაიძე პირველია, ვინც საქართველოში, აღნიშნული პროგრამით, ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია გაიკეთა და ამისთვის, სახელმწიფომ, 70 000 ლარი გამოყო. ზურაბ აზარაშვილი, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, დავით ჩხაიძის რეაბილიტაცი-

ის პერიოდსა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო – პაციენტს ოპერაცია მარტის ბოლოს გაუქვდა და თავს კარგად გრძნობს. ამჟამად, გეგმურ რეაბილიტაციას ბინაზე აგრძელებს და საჭირო კვლევებსა თუ მედიკამენტებს უფასოდ იღებს.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ახალი სახელმწიფო პროგრამა 2022 წლის იანვრიდან ამოქმედდა, რომელიც, თანამონაწილეობით, ღვიძლის ტრანსპლანტაციას აფინანსებს.



ქართული ჩაის ფესტივალი

29 ივლისს, 14 საათზე გურიაში, შეკვეთილის მუსიკოსთა პარკში, ჩაის ფესტივალი გაიმართება. ღონისძიება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ორგანიზებით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით ტარდება.

ქართული ჩაის ფესტივალი გურიაში პროექტ ჩაის გზის ფარგლებში იმართება. ფესტივალის მხარდაჭერებით არიან: საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია, მუსიკოსთა პარკი. ფესტივალის მონაწილეებს საშუალება ექნებათ დააგემოვნონ თაფლი, ჩირი, ღვინო და სხვა პროდუქტები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება მასტერკლასები, ფოტოგამოფენა და შეჯიბრი მენარმეებს შორის. გაიმოვლინდება საუკეთესო ჩაის მფლობელი.

მედიური ზურთი

შეიქმედეს საბავსტო

„ბორჯღალოსნები“ შემოდგომაზე სამ ტესტ-მატს გამართავენ...

პირველი ორი თამაში სამშობლოში გვაქვს - 6 ნოემბერს ურუგვაის ვმასპინძლობთ...



ბერს - სამოას (ოკეანეთი). ნოემბრის ტესტებს 19-ში უელსთან, კარდიფში, „პრინციპალითიზე“ დავასრულებთ.

„იტალიასთან გამარჯვების შემდეგ განვახატავთ, რომ ხმამაღალი განაცხადი გვაქვს...“

კარდიფში თამაშისთვის რაგბის კავშირი დააორგანიზებს სპეციალურ პაკეტებს...

სამწვრთნელო შტაბი 2-3 კვირა დაისვენებს და შემდეგ შეუდგება მზადებას...



„ქუჩაშიც იგრძნობა, რომ 10 ივლისს მოპოვებული გამარჯვებით განცდილი სიხარული ჯერ არ განელეულა...“

„სამოასთან გამარჯვების შემდეგ განვახატავთ, რომ ხმამაღალი განაცხადი გვაქვს...“

ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენი ზეიმები სხვა ქვეყნებშიც უნდა ჩა-

ვიტანოთ და ეს იქნება კარდიფი. რაგბის კავშირი ყველაფერს გააკეთებს...

მომავალ თამაშებს დიდი ინტერესით ელოდება „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელი...

„ნოემბერში სამი საინტერესო ტესტი გველის. თუ შეხედავთ, სამხრეთ ამერიკიდან მსოფლიო თასზე სამი გუნდი გავიდა...“

სამოასაც დიდი პროგრესი აქვს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ცოტა ხნის წინათ ფიჯი დაამარცხა...

რაც შეეხება უელსს, მას ჩემი წარდგენა არ სჭირდება. უელსმა სამხრეთ აფრიკაში შეძლო მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება...

„ბორჯღალოსნებს“ ურუგვაის წინააღმდეგ 6-ჯერ უთამაშიათ და მათთან დადებითი ბალანსი აქვთ...



ლომინოს პრინციპით

„ნაპოლისა“ და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის, სმიჩა კპრაცხელიას აგენტი მამუკა ჯუღაძე...

ჯუღაძემ განაცხადა, რომ კვარაცხელიათი იტალიაში კმაყოფილი არიან და ყველაფერი კარგად მიდის...

ქართველმა აგენტმა თქვა, რომ ამჟამად მისი პრიორიტეტი ირაკლი აზაროვისა და ზურაბი დავითაშვილის ტრანსფერებია...

„სეზონი პირველი შეკრება საშუალოზე მაღალი შეფასებით ჩაატარა. ვარჯიშებზე ყველაფერს მაქსიმალურად აკეთებს...“

2 წლის განმავლობაში აკვირდებოდა „ნაპოლი“ სეზონს და მათთან კავშირი მქონდა...

„ბორჯღალოსნებს“ ურუგვაის წინააღმდეგ 6-ჯერ უთამაშიათ და მათთან დადებითი ბალანსი აქვთ...

პოლიში“ - ეს არის სრული სიმართლე და ქემატირება. ნეაპოლში 1-2 კვირით ადრე ვიყავი ჩასული...

„დინამო ბათუმში“ დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ „რუბინიდან“ დროებით მაგზე კარგად ვიცი ვერც სეზონი და ვერც ზურაბი ვერ წავიდოდა...

ირაკლი აზაროვისა და ზურაბი დავითაშვილის შესახებ არის საუბარი, რომ სერია A-ში წავიდნენ...

„დინამო ბათუმის“ მატჩზე მაგათ გამო იყვნენ ჩამოსულნი, ასევე საქართველოს ნაკრების შეხვედრაზე და ახლაც მიმდინარეობს დავითაშვილის შესახებ არის საუბარი...

შეგახსენებთ, რომ სეზონი კვარაცხელიამ „ნაპოლისთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. იტალიის სერია A-ს პირველ ტურში ლუჩანო სპალეტის გუნდი 15 აგვისტოს, სტუმრად „ვერონას“ დაუპირისპირდება...

ახალი სიცოცხლე

აი, ასე ბრუნდება „გორდა“

1990 წლის დასაწყისში, როცა ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად არსებობა გადაწყვიტა, ჩვენი გუნდების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარი თქვა...



არაერთი ასაკობრივი ჯგუფია და დღეს სწორედ ერთ-ერთი ასაკობრივი გუნდის წარმატებულ ასპარეზობაზე მოგახსენებთ.

ზემოთ ნახსენები გიორგი მიშველიძისა და მისი თანამოაზრის, ზაზა გურიელიძის მიერ დამოძღვრილი „გორდას“ 2014 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდმა დროის მოკლე პერიოდში ერთმანეთზე ფავულურ წარმატებებს მიაღწია.

ჯერ იყო და, „გორდას“ ნორჩმა ფეხბურთელებმა თბილისში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით „მშვიდობის თასზე“ გაიმარჯვეს, სულ ახლახანს კი ბათუმში ჩატარებული, არანაკლებ საინტერესო და ასევე არანაკლებ წარმომადგენლობითი ტურნირი მოიგეს.

ეს ბოლო ტურნირი კი, ბათუმის „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის, ვიქტორ კაკაბაძის ხსოვნას ეძღვნებოდა. აჭარის მთავარი ქალაქის ბუღარის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გამართულ ამ საინტერესო ტურნირში საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 12 გუნდი მონაწილეობდა.

„გორდას“ ჯერ ჯგუფში მოიგო სამივე მატჩი („სამტრედიასთან“, ბათუმის „პორტუსისთან“ და ქობულეთის „შუქურასთან“), შემდეგ კი ასევე წარმატებით განაგრძო სვლა პლეი-ოფში, სადაც ჯერ მეოთხედფინალში თბილისის „გრანდს“ მოუგო (1:0), ნახევარფინალში ბათუმის „დინამოს“ სძლია (3:2), ფინალში კი ქობულეთის „შუქურას“ აჯობა (2:1) და „ჭუკას თასი 2022-ის“ გამარჯვებულიც გახდა!

ახლა კი ამ წარმატების შემოქმედით, „გორდას“ ნორჩ ფეხბურთელებსაც გაგაცნობთ - ალექსანდრე ძნელაშვილი, გიორგი სურმაგა, დათა გოგიტი, ბექა ჭიბაძე, ივანე მიშველიძე, დემეტრე ლარიბაშვილი, დემეტრე ტყეშელაშვილი, საბა ბერიაშვილი, გაბრიელ მიქელაშვილი, ვაჩე გოგოლაძე.

ამათგან, სამი - „ჭუკას თასის“ ინდივიდუალური პრიზის მფლობელიც გახდა: ტურნირის საუკეთესო მეკარე ალექსანდრე ძნელაშვილი დასახელდა, საუკეთესო მცველად - გიორგი სურმაგა, საუკეთესო თავდასხმელად - ივანე მიშველიძე.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა ვთქვათ იმაზეც, რომ ბათუმში გამართული ეს საინტერესო ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც უმთავრესი ორგანიზატორის, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი - ირაკლი თორთლაძე) დამსახურებაა.

სხვათა შორის, წლეულს, სექტემბერში, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით, ბათუმში კიდევ უფრო წარმომადგენლობით ბავშვთა ტურნირს უნდა უმასპინძლოს, რომელშიც, ძალიან დიდი ალბათობით, „მილანის“, „იუვენტუსისა“ და „ბენფიკას“ ნორჩი ფეხბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ტურნირში „გორდას“ ასაკობრივი გუნდიც არის მისაბიჯებული!

არაპირობა უამთხვავაში არ დათმობთ უკრაინის ტერიტორიები!!!



აშშ-ის ყოფილიმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა დასავლეთსა და კიევს მოუწოდა, მოსკოვთან შესაძლო მოლაპარაკებების დროს, არ დათმონ უკრაინის ტერიტორიები, რომელთა ოკუპირება რუსეთმა ფართომასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ მოახდინა.

„დღევანდელ ვითარებაში, დემოკრატიის ლიდერებმა ნათლად უნდა გაიგონ, რისთვის არიან მზად მოლაპარაკებებისთვის და რისი დათმობისთვის არ არიან მზად არავითარ შემთხვევაში“, – განაცხადა კისინჯერმა. მისი თქმით, მოლაპარაკებები შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ აგრესიის მსხვერპლებთან – უკრაინის ხელმძღვანელობასა და ხალხთან „სრული თანამშრომლობით“.

შეგახსენებთ, მაისში, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას, კისინჯერმა თქვა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების გამყოფი ხაზი უნდა იყოს „უნიტარული სტატუს კვოს დაბრუნება“. ბევრმა შედიასაშუალებამ და პოლიტიკოსმა ეს სიტყვები განმარტა, როგორც კიევისადმი მოწოდება, დათმოს თავისი ტერიტორიების ნაწილი მშვიდობის მისაღწევად.

ამერიკელები მუსლმანებს დაეპირებენ ნინაშე იყრიან!!!




„ჩვენ არ გავტყუდებით, არ დაეთმობთ, არასდროს დავიხვევთ უკან. სანამ ჩვენ თავდაჯერებულები და ერთიანები ვართ, ტირანებს, რომლებსაც ჩვენ ვებრძვით, შანსი არ აქვთ. იმიტომ, რომ ჩვენ ამერიკელები ვართ და ამერიკელები მუსლმანებს და მხოლოდ ღმერთის ნინაშე იყრიან“, – აღნიშნა ფლორიდის შტატში სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის ყოფილიმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა.

„გაზპრომი“ ევროპას გაზის მიწოდებას უმსცირებს

ენერჯეტიკის საკითხებში ევროკომისარმა, კადრი სიმსონმა განაცხადა, რომ „გაზპრომის“ განცხადება, რომ კიდევ უფრო შეამცირებს ევროპაში გაზის მიწოდებას, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებაა.

„ჩვენ ვიცით, რომ ამის ტექნიკური საფუძველი არ არსებობს. ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული ნაბიჯი და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. სწორედ ამიტომ, გაზზე ჩვენი მოთხოვნის შემცირება გონივრული სტრატეგიაა“, – აღნიშნა ენერჯეტიკის საკითხებში ევროკომისარმა. 25 ივლისს, კომპანია „გაზპრომი“ „ჩრდილოეთის ნაკადი 1“-ის კიდევ ერთი ტურბინის გათიშვა განაცხადა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, 27 ივლისიდან გაზის ნაკადის დღიური მოცულობა 33 მილიონი კუბური მეტრი იქნება. „გაზპრომი“ ტურბინის შეჩერების მიზეზად შესაბამისი მარეგულირების მითითებებსა და დანადგარის ტექნიკურ მდგომარეობას ასახელებს.



ევროკავშირი მზად უნდა იყოს რუსული გაზის მიწოდების სრულად შეწყვეტისთვის

ევროკავშირის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაინემ განაცხადა, რომ რუსეთი არ არის ენერგორესურსების სანდო მიმწოდებელი და ევროკავშირი მზად უნდა იყოს ადრე თუ გვიან რუსული გაზის მიწოდების სრულად შეწყვეტისთვის.

„რუსეთი მხოლოდ ნაწილობრივ აწვდის გაზს ან საერთოდ არ აწვდის მას ევროკავშირის 12 წევრ სახელმწიფოს. ამიტომ ევროპა მზად უნდა იყოს ყველაზე ცუდი სცენარისთვის – ადრე თუ გვიან გაზის მიწოდების სრული შეჩერებისთვის“, – განაცხადა ევროკომისიის ხელმძღვანელმა. ურსულა ფონ დერ ლაინის თქმით, რუსული გაზის შეწყვეტის შედეგების შესამცირებლად, ევროკავშირი გეგმავს დაზოგოს გაზის მოხმარების 15% მომავალი წლის მარტამდე, ხოლო ევროკავშირის უპირველესი მიზანია, რუსეთის გაზის იმპორტისაგან სრულიად დამოუკიდებელი გახდეს არაუგვიანეს 2027 წლისა.

ყაზახეთი სამხედრო ბიუჯეტს ზრდის

ყაზახეთი მკვეთრად ზრდის სამხედრო ბიუჯეტს და აფართოებს თანამშრომლობას ჩინეთსა და ნატოსთან, შიზოუს რა, რომ შესაძლოა, მოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლის გეოპოლიტიკური ამბიციების მორიგი სამიზნე გახდება.

ყაზახეთის ხელისუფლებამ თავდაცვისთვის დამატებითი 441 მილიარდი ტენგე, დაახლოებით 918 მილიონი დოლარი გამოყო. ამგვარად, ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი (2021 წელს 1.7 მლრდ დოლარი) გაიზარდება თითქმის 1.5-ჯერ.

„თანხების უმეტესი ნაწილი მიმართული იქნება თავდაცვის რეზერვების გაძლიერებაზე. ხელისუფლებისთვის უკრაინელთა მედგარი წინააღმდეგობა გაკვეთილია და ხედავს არმიის რეფორმირების აუცილებლობას, რათა ის უფრო დინამიკური და მომზადებული იყოს „ჰიბრიდული ომისთვის“, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს როგორც პირდაპირ საომარ მოქმედებებს, ასევე კიბერშეტევებს, დეზინფორმაციას და არჩევნებში ჩარევას.

ყაზახეთის პრეზიდენტი ყასიმ-ჯომართ თოყაევი, რომელიც ცდილობს რუსეთთან, დასავლეთსა და ჩინეთთან დაბალანსებული ურთიერთობის ხაზი იპოვოს, ამავდროულად, მოკავშირეებს ეძებს. აპრილში ჩინეთის თავდაცვის მინისტრი ყაზახეთს ეწვია და მისი ვიზიტის შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ. მაისში თოყაევი გაემგზავრა ანკარაში, სადაც ხელი მოეწერა შეთანხმებას თურქული დრონების წარმოების შესახებ.



17 ივნისს ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჯომართ თოყაევმა, პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის თანდასწრებით, დონბასის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს კვანისახელმწიფოები უწოდა და თქვა, რომ ყაზახეთი მათ არასოდეს აღიარებს. ამავდროულად, მან განაცხადა, რომ ყაზახეთი რუსეთს დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლაში არ დაეხმარება. თოყაევის განცხადების შემდეგ, რუსეთმა ნოვოროსიისკის პორტით ყაზახური ნავთობის იმპორტი შეაჩერა. ეს შეზღუდვა სწრაფად გაუქმდა მას შემდეგ, რაც ყაზახეთის ხელისუფლებამ რუსეთს განუცხადა, რომ დაბლოკავდა პარალელურ იმპორტს მათი საბაჟო პუნქტების მეშვეობით. დასავლეთის სანქციებმა პრაქტიკულად შეაჩერა ყაზახეთის ვაჭრობა ევროპასთან რუსეთის გავლით და ხელისუფლება ეძებს ალტერნატიულ არხებს – კასპის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით.



ქართველ პოლიციელთა სპრტული ნაღავი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გუნდი ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ როტერდამში მიმდინარე „პოლიციისა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადა 2022“-ში მონაწილეობას წარმატებით განაგრძობს. ქართველმა სამართალდამცველებმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე კიდევ 2 ოქროს მედალი მოიპოვეს.

პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს უფროსი, კობა კობახიძე ძალისმიერ ნოლქშიში, 120 კგ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდა და ოქროს მედალი მოიპოვა. კობა კობახიძეს სხვა არაერთი საერთაშორისო სპორტული ტიტული აქვს მოპოვებული. პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და ოქროსმედალოსანი გახდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი გიგა ბერიაშვილი. მან ძიუდოში, 66 კგ წონით კატეგორიაში, ყველა მეტოქეს სძლია და ოქროს მედალს დაეუფლა. ამ ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გუნდს „პოლიციისა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადა 2022“-ზე 4 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.



აბასთუმანში ახალი საჯარო სკოლა შენდება

სადარბელოვს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, აბასთუმანში 120 მოსწავლეს გათვლილი, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის შენობა სრულად იქნება აღჭურვილი ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

მიხეილ ჩხენკელი აბასთუმანში სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას პირადად გაეცნო. აბასთუმანის საჯარო სკოლის ამჟამინდელი შენობა კერძო საკუთრებაშია. შესაბამისად, 2023 წლიდან აბასთუმანს თანამედროვე სტანდარტების ახალი საჯარო სკოლა ექნება.

სამსახურებრივი კალის დახმარებით მარინუანის უემოტანის ფაქტი აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგ ოფიცერმა და სამსახურებრივმა ძაღლმა სახელად „დიიმ“, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების ძებნა-აღმოჩენაზე არის განკურთხილი, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის ს.ფ.-ს ბარგის დათვალიერების შედეგად, 394,83 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარინუანა აღმოაჩინეს, – ამის შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის ავრცელებს.

„საქართველოს მასშტაბით საბაჟო გამშვებ პუნქტებზე უსაფრთხოების კონტროლს კინოლოგი ოფიცრები და ნარკოტიკების (კონტრბანდული თამბაქოს ნაწარმის) ძებნა-აღმოჩენაზე სპეციალურად განკურთხილი 29 ძაღლი ახორციელებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მეცნიერის ლექსი



კეთევან კობახიძე (ფილოლოგიის დოქტორი)

მეფე სიენი

სიენი არის პირველი მეფე ქართული სამეფოდან — კახა უნგვალია

ქართველი მეფე პირველი და მკლავმგებარი სიენი, დიათონიდან ასურეთს ზარის დამცემად ძლიერი. ქრისტეს შობამდე თორმეტი საუკუნის წინ მოღვაწე, დიათონს, მადალსა ტახტსა, მეფე, მორქმულად მჯდომარე, ტიფლათფილესურ პირველთან ხმალამთღებთ მდგომარე! დაიაენის სახელით ნაირის ტომთა მოსარჩლე და ხელმწიფური ახრთწყობით სამეფოს ბრძნულად მოთავე!

ქართველთ ამ პირველ ერთობამ ოთხ საუკუნეს გაუძლო, მტერს მტრულად ეგებებოდა, ბოლოს, „დასასრულს“

დაუთმო...


ფერულად ქცეული სამეფო აღსდგა ქართული ტაოთი. ურარტუ, მისი დამქცევი, გადაიფარა ქაოტით.

შემოგვენახა სახელი ასური მეფის წარწერით დიათონ-დაიაენის სამეფოს ფუძის ჩამყრელის, სიენით სახელდებული პირველი მეფის, ქართველის...



საძარბაველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში რესტავრირებული ქართული ფილმები იტალიაში მიმდინარე მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე „Lago Film Fest“ არის წარმოდგენილი.

ჩვენების კურატორმა, ქართველმა კინორეჟისორმა ალექსანდრე კობერიძემ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით რეტროსპექტივაზე წარადგინა ფილმები: კოტე მარჯანიშვილის „გოგი რატიანი“ (1927), სოსო ჩხაიძის „კოლხიდა“ (1967), ბიძინა რაჭველიშვილის „ხაბაზები“ (1970, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში), ბაადურ ნულაძის „ფეოლა“



აღდგენილი ქართული ფილმები იტალიის ფესტივალზე

(1970), გოდერძი ჩოხელის „მეკვლე“ (1981, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში).

„ხაბაზებისა“ და „მეკვლეს“ ციფრული რესტავრაცია საქართველოს ეროვნულ არქივში ბოლო წლებში განხორცი-

ელდა. „Lago Film Fest“ 22-30 ივლისს იტალიაში იმართება. ქართული ფილმების რეტროსპექტივის ნაწილს „სასიყვარულო წერილი ქართულ კინოს აღქმანდრე კობერიძის კურატორობით“ ჰქვია.

მსოფლიოს ნამყვანი ლიტერატორები პოეტ ღათო მაღრაქას შესვლენ



შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი წელს საქართველოში იმართება. ღონისძიების ფარგლებში მსოფლიოს ნამყვანი კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, კულტუროლოგები, მთარგმნელები და მწერლები ილია ქავჭავაძის სახლ-მუზეუმში პოეტ ღათო მაღრაქას შესვლენ. შედგა საინტერესო საღამო, რომლის დროსაც პრინსტონის, ტოკიოს, დელისა და სხვა წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა პოეტი მისი შემოქმედების წარსადაგენად თავიანთ სასწავლებლებში მიიმატიეს.

კონგრესი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ტარდება.

რომის პაპი შენობას ითხოვს კანადაში „კულტურული გენოსიდის“ გაყო

რომის პაპმა ფრანცისკემ კანადაში ვიზიტის დროს, რომის კათოლიკური ეკლესიის სახელით, პატიება სთხოვა ამ ქვეყნის ძირძველ მოსახლეობას.

„მდაბლად ვითხოვ პატიებას იმ ბოროტებისთვის, რაც ბევრმა ქრისტიანმა ჩაიდინა მკვიდრი ხალხის მიმართ“, — თქვა პაპმა 25 ივლისს, ალბერტის პრონციციაში, პანსიონის ყოფილ სტუდენტებთან შეხვედრისას.

„მაბატიეთ, საწმუხაროდ, ბევრმა ქრისტიანმა მხარი დაუჭირა იმ ძალებს კოლონიალურ მენტალიტეტს, რომლებიც ჩაგრაგდნენ ძირძველ ხალხებს. ძალიან ვწუხვარ. ამ შემადრწუნებელი ბოროტებისთვის, ეკლესია მუხლს იყრის წინაშე და დღეს ცულობს პატიებისა და მისი შვი-

ლების ცოდვისთვის“, — თქვა პაპმა.

1881-1996 წლებში, კათოლიკურმა ეკლესიამ 150 000-ზე მეტი ბავშვი ძირძველი მოსახლეობიდან ჩამოაშორა ოჯახებს და სკოლა-პანსიონებში გაგზავნა, რათა მათი საზოგადოებაში ასიმილაცია მოეხდინათ. ამ წლების განმავლობაში, არაერთი მოზარდი გამხდარა შიმშილის, ცემისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იმ სისტემაში, რომელსაც კანადის სიმართლისა და შერიგების კომისიამ „კულ-

ტურული გენოციდი“ უწოდა.

2021 წელს კანადის ერთ-ერთ პროვინციაში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, ყოფილ სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე 215 ბავშვის ნეშტი იპოვეს. მას შემდეგ



ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არაერთი ასეთი სამარხი აღმოაჩინეს მსგავსი დანებებულების მიმდებარედ.

რომის პაპი კანადაში სწორედ მკვიდრი მოსახლეობისთვის ბოდიშის მოხდის მიზნით ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში ის შესვდა კანადის გენერალ-გუბერნატორის მერი საიმონსა და პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრუდოს.

უკრაინის ნასვლად... დიდ ბრიტანეთში

მეროვიზიის მუსიკალური კონკურსი 2023 წელს, უკრაინის ნაცვლად, დიდ ბრიტანეთში გაიმართება. კონკურსის წესების მიხედვით, ევროვიზიის მასპინძელი ის ქვეყანა ხდება, რომელმაც კონკურსი მოიგო. წელს ევროვიზიის გამარჯვებული უკრაინული ჯგუფი Kalush Orchestra გახდა.

თუმცა, ჯერ კიდევ ივნისში კონკურსის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ევროვიზიის ჩატარება უკრაინაში ვერ მოხერხდება. ამის შემდეგ კონკურსის მასპინძლობის მიზნით მოლაპარაკება იმართებოდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან.

როგორც ევროპის მაუნყებელთა კავშირში

განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ „ევროვიზია -2023“-ს ბრიტანეთი უმასპინძლებს, კონკურსზე უკრაინის გამარჯვება სათანადოდ იქნება ასახული. ევროვიზიის ორგანიზატორების გადაწყვეტილების გამო უკრაინის მთავრობამ უკმაყოფილება გამოხატა. მათი თქმით, უკრაინა შეძლებდა კონკურსზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თუმცა ევროპის მაუნყებელთა კავშირმა კონკურსის სხვა ქვეყანაში გადატანის გადაწყვეტილება მაინც მიიღო. „ევროვიზია-2023“-ის მასპინძელი ქალაქი ჯერ არ დასახელებულა, თუმცა ინტერესი უკვე გამოთქვას გლახგომ და მანჩესტერმა.



უსსოური ვალუტის ქარსი: აუუ ღოღარი - 2.7917; პპრო - 2.8534; ბრიტანული პირანქა სტარლინგი - 3.3606; 100 რუბლი - 4.7726; თურქული ლირა - 0.1576; აზერბაიჯანული მანათი - 1.6464; 1000 სომხური დრამი - 6.8152.

Table with exchange rates for various currencies and services.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35; ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge; ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information and subscription details.

Advertisement for Georgia's Eurovision Song Contest participation, mentioning the date July 29.